

შპს „საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის“ დებულება

პ რ ე ა მ ბ უ ლ ა

შპს „საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტი“ არის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული კერძო სამართლის იურიდიული პირი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, საზოგადოებრივ საგანმანათლებლო მოთხოვნებზე ორიენტირებული საბაზრო ურთიერთობის სრულყოფილებიანი სუბიექტი, რომლის მიზანია საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება და საგანმანათლებლო სივრცეში სრული ინტეგრაცია.

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. სასწავლო უნივერსიტეტის სტატუსი და საქმიანობის საფუძვლები

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტი“ (ტექსტში შემდგომ - „სასწავლო უნივერსიტეტი“ ან „დაწესებულება“), არის ავტონომიური დაწესებულება. სასწავლო უნივერსიტეტი უფლებამოსილია განახორციელოს აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი ორი საფეხურის (ბაკალავრიატი და მაგისტრატურა) საგანმანათლებლო პროგრამები და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით ნებადართული სხვა საგანმანათლებლო საქმიანობა.
2. სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობა ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებს, ამ წესდებას და სასწავლო უნივერსიტეტის სამართლებრივ აქტებს.
3. სასწავლო უნივერსიტეტის სრული სახელწოდებაა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტი“. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, 0194, მიცკევიჩის ქ. №29 (ნაკვეთი 15/39).
4. უნივერსიტეტს აქვს ოფიციალური ბეჭედი, საბანკო ანგარიშები, ოფიციალური ვებგვერდი - www.bog.edu.ge და იურიდიული პირისათვის დადგენილი სხვა ატრიბუტიკა, ასევე სასწავლო უნივერსიტეტის ლოგო, რომლიც მტკიცდება რექტორის ბრძანებით.
5. სასწავლო უნივერსიტეტში სწავლების ენა, როგორც წესი, არის ქართული (სხვა ენაზე სწავლება, გარდა ინდივიდუალური სასწავლო კურსებისა, შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში).
6. სასწავლო უნივერსიტეტი საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ.
7. სასწავლო უნივერსიტეტი თავისი მიზნებიდან გამომდინარე, მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ.

მუხლი 2. სასწავლო უნივერსიტეტის მიზნები და ფუნქციები

1. სასწავლო უნივერსიტეტის ძირითადი მიზნებია:
 - ა) პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება;

- ბ) პიროვნული პოტენციალის რეალიზება, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პირების მომზადება, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, სტუდენტთა და ფართო საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების შეთავაზება დაინტერესებული პირებისათვის;
- გ) საუნივერსიტეტო განათლებისა და კვლევითი პოტენციალის განვითარება;
- დ) სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური განათლების პირველი ორი საფეხურის (ბაკალავრიატი და მაგისტრატურა) საგანმანათლებლო პროგრამების, სხვადასხვა ტიპის ინოვაციური კვლევების განხორციელება;
- ე) სასწავლო უნივერსიტეტის ინტეგრაცია ადგილობრივ და საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში;
- ვ) ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების ან/და კვლევითი პროექტების განხორციელება;
- ზ) სტუდენტზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო გარემოს შექმნა;
- თ) პერსონალის პროფესიული განვითარება;
- ი) აკადემიური თავისუფლების დაცვა;
- კ) სტუდენტისა და აკადემიური პერსონალის პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა;
- ლ) ცოდნის გენერირება და გადაცემა;
- მ) სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის წახალისება.

2. აღნიშნული მიზნების უზრუნველსაყოფად სასწავლო უნივერსიტეტი:
 - ა) ამზადებს პიროვნებას ისეთი პროფესიული მოღვაწეობისათვის, რომელიც მოითხოვს თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გამოყენებას;
 - ბ) ზრუნავს თავისი პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე;
 - გ) ზრუნავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტთათვის სწავლის პირობების შესაქმნელად;
 - დ) თანამშრომლობს საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან;
 - ე) ხელს უწყობს უცხოეთის შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან სტუდენტთა და პროფესორთა ურთიერთგაცვლას;
 - ვ) ემსახურება პროფესიულ განვითარებას თავისუფალ, დემოკრატიულ და სოციალურ სამართლებრივ გარემოში;
 - ზ) ანიჭებს შესაბამის კვალიფიკაციას;
 - თ) უზრუნველყოფს სხვა ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც ხელს შეუწყობს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებას.
3. სასწავლო უნივერსიტეტი პასუხისმგებლობას იღებს დემოკრატიული ღირებულებებისადმი ერთგული, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებასა და საზოგადოებრივი საგანმანათლებლო სერვისის განხორციელებაზე.

თავი II. სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურა და მართვა

მუხლი 3. სასწავლო უნივერსიტეტის მართვის ორგანოები და სტრუქტურა

1. სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურა მოიცავს უნივერსიტეტის მართვის ორგანოს, საგანმანათლებლო-ადმინისტრაციულ და დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებს (სამსახურებს).
2. სასწავლო უნივერსიტეტის მართვის ორგანოა სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი.

3. სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო-ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულია - ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული - სკოლა.
4. სასწავლო უნივერსიტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულებია:
 - 4.1. ადმინისტრაციული სამსახური;
 - 4.2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;
 - 4.3. საფინანსო სამსახური;
 - 4.4. მატერიალურ-ტექნიკური სამსახური;
 - 4.5. ტრენინგებისა და საერთოფიკატო პროგრამების სამსახური;
 - 4.6. იურიდიული სამსახური;
 - 4.7. ადამიანური რესურსების მართვის სამსახური;
 - 4.8. საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახური;
 - 4.9. პროექტების მართვის სამსახური;
 - 4.10. საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური;
 - 4.11. ბიბლიოთეკა;
5. სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო-ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულის - სკოლის მართვის ორგანოა სკოლის დეკანი.
6. სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების შიდასტრუქტურული მოწყობა და საქმიანობა რეგულირდება სასწავლო უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 4. სასწავლო უნივერსიტეტის მართვის პრინციპები

1. სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს:
 - ა) საქმიანობის სამართლიანობასა და გამჭვირვალობას;
 - ბ) გადაწყვეტილებათა ღიაობას და საყოველთაო ხელმისაწვდომობას კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;
 - გ) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების აკადემიურ თავისუფლებას;
 - დ) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მონაწილეობას სასწავლო უნივერსიტეტის მართვის პროცესში;
 - ე) თანასწორ მოპყრობას განურჩევლად პირის ეთნიკური კუთვნილებისა, სქესისა, სოციალური წარმოშობისა, პოლიტიკური და რელიგიური შეხედულებებისა და სხვა;
 - ვ) უნივერსიტეტში კონკურსების სამართლიანობას და გამჭვირვალობას, მათ საჯაროობას.
2. უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების დებულებებით არ შეიძლება დადგინდეს ამ პრინციპების შემზღვევა ნორმები.

მუხლი 5. სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი

1. სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი არის დაწესებულების ხელმძღვანელი, დაწესებულების უმაღლესი ადმინისტრაციული თანამდებობა.
2. სასწავლო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილება აქვს რექტორს, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სასწავლო უნივერსიტეტის დამფუძნებელი პარტნიორი.
3. სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი:
 - ა) წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტს ქვეყნის შიგნით და გარეთ ოფიციალურ ურთიერთობებში;
 - ბ) ახორციელებს სასწავლო უნივერსიტეტის მართვას;
 - გ) დამფუძნებელთან შეთანხმებით კანონმდებლობით დადგენილი წესით მართავს და განკარგავს სასწავლო უნივერსიტეტის საკუთრებასა თუ სარგებლობაში არსებულ უძრავ-მოდრავ ქონებას, განსაზღვრავს ფინანსურ პოლიტიკას;
 - დ) შეიმუშავებს და ამტკიცებს სასწავლო უნივერსიტეტის მისიას;

- ე) ამტკიცებს სასწავლო უნივერსიტეტის წესდებას, შეაქვს მასში ცვლილებები/დამატებები;
- ვ) შეიმუშავებს და ამტკიცებს სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურას, შეაქვს მასში ცვლილებები/დამატებები;
- ზ) გამოსცემს სამართლებრივ აქტებს რექტორის ბრძანების სახით, რომელთა შესრულება სავალდებულოა სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების, პერსონალის, სასწავლო უნივერსიტეტთან შრომითსამართლებრივ ურთიერთობაში მყოფი პირებისა და სტუდენტისათვის;
- თ) სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის წარდგინებით ამტკიცებს სტრუქტურული ერთეულების სტრუქტურას და დებულებებს, შეაქვს მათში ცვლილებები/დამატებები;
- ი) შეიმუშავებს და ამტკიცებს საკონკურსო დებულებებს, სასწავლო უნივერსიტეტის სამშტატო ნუსხას, შეაქვს მათში ცვლილებები/დამატებები;
- კ) აკადემიური და სხვა სამშტატო თანამდებობის დაკავების მიზნით უფლებამოსილია გამოაცხადოს კონკურსი; ნიშნავს და ათავისუფლებს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებსა და თანამშრომლებს, მათთან ურთიერთობაში სარგებლობს დამსაქმებლის უფლებამოსილებებით;
- ლ) ქმნის და აუქმებს დროებით და მუდმივმოქმედ კომისიებს;
- მ) ზრუნავს სწავლისა და სწავლების პროცესის ეფექტურად წარმართვაზე;
- ნ) ქმნის აუცილებელ პირობებს საგანმანათლებლო პროცესის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად;
- ო) ხელმძღვანელობს საგანმანათლებლო და კვლევით პოლიტიკის განხორციელებას, კოორდინაციას უწევს სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო ინტეგრაციისა და საზოგადოებრივი საგანმანათლებლო სერვისის განხორციელების პროცესს;
- პ) მართვის სისტემის ეფექტურობის გაზრდისა და გაუმჯობესების მიზნით, უფლებამოსილია შექმნას კოლეგიური ორგანოები;
- ჟ) გასცემს სასწავლო უნივერსიტეტის საპატიო წოდებების მინიჭებისა და აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის დამადასტურებელ დოკუმენტებს;
- რ) აფორმებს ხელშეკრულებებს;
- ს) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელს უწყობს სტუდენტთა და თანამშრომელთა კარიერული ზრდის ხელშემწყობი მექანიზმების შექმნას და ფუნქციონირებას;
- ტ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელს უწყობს სტუდენტთა და თანამშრომელთა სოციალურ მხარდაჭერას;
- უ) უფლებამოსილია სისტემატური კონსულტაციები გასწიოს სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებთან და სტუდენტურ ჯგუფებთან;
- ფ) ხელს აწერს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების დიპლომს;
- ქ) ამტკიცებს სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტს;
- ღ) სასწავლო უნივერსიტეტის სკოლის საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს საგანმანათლებლო პროგრამებს, შეაქვს მათში ცვლილებები/დამატებები;
- ყ) სკოლის დეკანის წარდგინებით საერთო სამაგისტრო გამოცდებისთვის და ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის ამტკიცებს საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალს, კოეფიციენტებს, მისაღებ კონტინენტის ოდენობას და კანონმდებლობით დადგენილ სხვა პარამეტრებს;
- შ) სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების წარდგინებით ამტკიცებს სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლებს;
- ჩ) სკოლის დეკანის წარდგინებით ამტკიცებს სკოლის საბჭოს პერსონალურ შემადგენლობასა და სკოლის საბჭოს დებულებას;

ც) წყვეტს უნივერსიტეტის საქმიანობის ეფექტურად წარმართვისათვის აუცილებელ სხვა საკითხებს, თუ ისინი არ წარმოადგენს სხვა სტრუქტურული ერთეულის ან თანამდებობის პირის უფლებამოსილებას.

4. რექტორის მიერ თავისი უფლებამოსილებათა განხორციელების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს რექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი. ამ პუნქტით გათვალისწინებულ რექტორის მოვალეობის შემსრულებელს ეზღუდება უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტზე (დიპლომზე) ხელმოწერის უფლებამოსილება.
5. სასწავლო უნივერსიტეტის ინტერესებიდან გამომდინარე უნივერსიტეტის რექტორის სამუშაო ადგილის დროებით შეცვლა (მივლინება) ფორმდება რექტორის ბრძანებით.
6. უნივერსიტეტის რექტორის შვებულება ფორმდება რექტორის ბრძანებით.
7. განსაკუთრებულ შემთხვევაში რექტორი უფლებამოსილია მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომელიც მის რწმუნებას აღემატება. ასეთ შემთხვევაში რექტორი ვალდებულია დამფუძნებელს დაუყოვნებლივ აცნობოს საქმის არსისა და თავისი გადაწყვეტილებების, ასევე ამ გადაწყვეტილების მიღების საფუძვლიანობისა და აუცილებლობის შესახებ.
8. რექტორი პასუხისმგებელია სასწავლო უნივერსიტეტის მისიის, მიზნებისა და ამოცანების პრაქტიკულ რეალიზაციასა და საგანმანათლებლო-კვლევითი გარემოს უზრუნველყოფაზე, სასწავლო უნივერსიტეტის სახელით წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებაზე მესამე პირებთან ურთიერთობაში.
9. სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობიდან ვადამდე გათავისუფლების საფუძვლებია:
 - ა) პირადი სურვილი (პირადი განცხადება);
 - ბ) სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;
 - გ) გარდაცვალება;
 - დ) სასამართლოს მიერ მხარდაჭერის მიმღებად ცნობა;
 - ე) სასწავლო უნივერსიტეტის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევა;
 - ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

მუხლი 6. სასწავლო უნივერსიტეტის სკოლა

1. სკოლა არის სასწავლო უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო-ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც სასწავლო უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ პოლიტიკის ფარგლებში უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში და მათთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას.
2. სკოლაში იქმნება და ხორციელდება საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები.
3. საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით სკოლაში ერთიანდება აკადემიური პერსონალის კორპუსი. სკოლა ხელს უწყობს მის პროფესიულ ზრდას და განვითარებას.
4. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში სკოლა ქმნის ყველა პირობას სტუდენტთა აკადემიური, პროფესიული და პირადი განვითარებისათვის.
5. სკოლის უშუალო დანიშნულებაა სტუდენტთა აკადემიური და პროფესიული ცოდნითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვა და აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფილად განხორციელება.

მუხლი 7. სასწავლო უნივერსიტეტის სკოლის სტრუქტურა

1. სკოლა აერთიანებს სკოლის საბჭოს, აკადემიური პერსონალის კორპუსს, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებს, სასწავლო და კარიერის დაგეგმვისა და განვითარების მენეჯერებს.
2. სკოლის მართვას ახორციელებს სკოლის დეკანი. დეკანი არის სკოლის ხელმძღვანელი, ადმინისტრაციული თანამდებობის მქონე პირი.

მუხლი 8. სასწავლო უნივერსიტეტის სკოლის დეკანი

1. სასწავლო უნივერსიტეტის სკოლის დეკანი (შემდგომ ტექსტში - „სკოლის დეკანი“ ან „დეკანი“) თანამდებობაზე ინიშნება, საკონკურსო შერჩევის საფუძველზე ან მის გარეშე, რექტორის ბრძანებით. დეკანის კონკურსგარეშე დანიშვნა ხდება, თუ გამოცხადებული ვაკანსიის ფარგლებში ვერ მოხდა შესაფერისი კანდიდატის შერჩევა. საკონკურსო და თანამშრომლობის პირობები მტკიცდება რექტორის ბრძანებით. დეკანი სკოლის საბჭოს თავმჯდომარეა.
2. სკოლის დეკანი:
 - ა) წარმოადგენს სკოლას ოფიციალურ ურთიერთობებში;
 - ბ) შეიმუშავებს სკოლის სტრუქტურის, დებულების პროექტებს და დასამტკიცებლად წარუდგენს რექტორს;
 - გ) დასამტკიცებლად წარუდგენს რექტორს სკოლის საბჭოს შემადგენლობას და სკოლის საბჭოს დებულების პროექტს.
 - დ) უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის ეფექტიანად მიმდინარეობას და საგანმანათლებლო მომსახურების განხორციელების პროცესს;
 - ე) ხელმძღვანელობს კვლევით/სამეცნიერო კვლევით საქმიანობას;
 - ვ) ახორციელებს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკას;
 - ზ) პასუხისმგებელია სკოლის უძრავ-მოძრავი ქონების მოვლა-პატრონობაზე;
 - თ) ქმნის საჭირო პირობებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის, აგრეთვე, სტუდენტთა დამოუკიდებელი სწავლისა და გუნდური მუშაობისათვის;
 - ი) მონაწილეობს კვალიფიციური კადრების შერჩევისა და მოზიდვის პროცესში. ამ მიზნით შეიმუშავებს და განახორციელებს მიზნობრივ ღონისძიებებს;
 - კ) ორგანიზებას უწევს სკოლის თანამშრომელთა შერჩევას და დასამტკიცებლად წარუდგენს რექტორს;
 - ლ) შუამდგომლობს მატერიალური, ფინანსური, ინფრასტრუქტურული და სხვა ტიპის რესურსების გამოყოფაზე, რაც აუცილებელია სკოლის წინაშე მდგარი ფუნქციებისა და ამოცანების შესასრულებლად;
 - მ) სტუდენტთა და თანამშრომელთა აქტივობის ამაღლების მიზნით, შეიმუშავებს მათი წახალისების საშუალებებს;
 - ნ) ზრუნავს სტუდენტთა, აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალის სოციალური მხარდაჭერისთვის;
 - ო) საერთო სამაგისტრო და ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალს, მისაღები კონტინგენტის ოდენობას, კოეფიციენტებს და კანონმდებლობით დადგენილ სხვა პარამეტრებს და დასამტკიცებლად წარუდგენს რექტორს;
 - პ) ხელს აწერს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების დიპლომს;
 - ჟ) სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის მიმდინარე და წლიურ ანგარიშებს;
 - რ) ახორციელებს სკოლის დებულებით, სასწავლო უნივერსიტეტის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. სკოლის დეკანი თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს - განკარგულებებს, რომლითაც რეგულირდება სკოლის ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა სამართლებრივი საკითხი.
4. სკოლის ან სასწავლო უნივერსიტეტის ინტერესებიდან გამომდინარე დეკანისათვის სამუშაო ადგილის დროებით შეცვლის (მივლინება), ასევე შვებულების მიცემის გადაწყვეტილებას იღებს რექტორი, რაც ფორმდება რექტორის ბრძანებით.
5. დეკანის მიერ თავის უფლებამოსილებათა განხორციელების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში, დეკანის მოვალეობის შემსრულებელს განსაზღვრავს რექტორი, თავისი სამართლებრივი აქტით.
6. დეკანი პასუხისმგებელია სკოლის საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან, ამ წესდებასა და სასწავლო უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივ აქტებთან შესაბამისობით განხორციელებაზე, სკოლის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების მაღალხარისხოვნად განხორციელებაზე.
7. სკოლის დეკანის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლებია:
 - ა) პირადი სურვილი (პირადი განცხადება);
 - ბ) სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;
 - გ) გარდაცვალება;
 - დ) სასამართლოს მიერ მხარდაჭერის მიმდებარე ცნობა;
 - ე) სასწავლო უნივერსიტეტის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევა;
 - ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

მუხლი 9. სასწავლო უნივერსიტეტის სკოლის საბჭო

1. სასწავლო უნივერსიტეტის სკოლაში სწავლებისა და კვლევითი მუშაობის კოორდინირებისა და წარმართვისათვის იქმნება სკოლის საბჭო. სკოლის საბჭოს თავმჯდომარეა სკოლის დეკანი.
2. საბჭოს შემადგენლობაში შედიან: სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, აკადემიური პერსონალი (არაუმეტეს სამი წევრი), მოწვეული პერსონალი (არაუმეტეს სამი წევრი) და სტუდენტთა წარმომადგენელი (არაუმეტეს ორი წევრი). შერჩევის პირობებს და პროცედურებს წინასწარ განსაზღვრავს სკოლის დეკანი. სკოლის საბჭოს ჰყავს მდივანი, რომელიც აირჩევა სკოლის საბჭოს წევრებიდან და შეიძლება იყოს სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული ან/და აკადემიური პერსონალი. განსახილველი საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე სათათბირო ხმის უფლებით საბჭოს სხდომაზე შეიძლება მოწვეულ იქნან დამსაქმებლები და სხვა კომპეტენტური პირები.
3. სკოლის საბჭოს პერსონალურ შემადგენლობასა და სკოლის საბჭოს დებულებას დეკანის წარდგინებით ამტკიცებს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი.
4. სკოლის საბჭო:
 - ა) ანიჭებს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს შესაბამის კვალიფიკაციას;
 - ბ) განიხილავს და რექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს საგანმანათლებლო პროგრამებს და მათში შესატან ცვლილებებს;
 - გ) იხილავს სტუდენტების მიერ სასწავლო უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ მოპოვებული კრედიტების აღიარების საკითხს;
 - დ) ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის, სკოლის საბჭოს დებულების და სასწავლო უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 9¹. სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები (სამსახურები)

1. სტრუქტურულ ერთეულს (სამსახურს) ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელსაც კონკურსის საფუძველზე ან მის გარეშე თანამდებობაზე ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი. უნივერსიტეტის რექტორი უფლებამოსილია სამსახურის უფროსი გაათავისუფლოს დაკავებული თანამდებობიდან.
2. სამსახურის თანამშრომლები უფროსის უშუალო მითითებით ახორციელებენ სამსახურის დებულებით დადგენილ ფუნქციებსა და ამოცანებს.
3. სამსახურის უფროსი:
 - ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს სამსახურის საქმიანობას;
 - ბ) წარმოადგენს სამსახურს დაკისრებული უფლება-მოვალეობების განხორციელებისას და პასუხისმგებელია სამსახურზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;
 - გ) ანაწილებს ფუნქციებს სამსახურის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;
 - დ) ზედამხედველობს სამსახურის თანამშრომლების სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვან შესრულებას;
 - ე) უფლებამოსილების ფარგლებში ხელს აწერს სამსახურში მომზადებულ დოკუმენტებს;
 - ვ) სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის მიმდინარე და წლიურ ანგარიშებს;
 - ზ) ორგანიზებას უწევს სამსახურის დებულებით სამსახურისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას, რისთვისაც წარუდგენს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის თვალსაზრისით;
 - თ) შუამდგომლობს მატერიალური, ფინანსური, ინფრასტრუქტურული და სხვა ტიპის რესურსების გამოყოფაზე, რაც აუცილებელია სამსახურის წინაშე მდგარი ფუნქციებისა და ამოცანების შესასრულებლად;
 - ი) პერიოდულად ისმენს სამსახურის თანამშრომლების ანგარიშს;
 - კ) შუამდგომლობს სამსახურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების თაობაზე;
 - ლ) გეგმავს სამსახურის მუშაობას, უზრუნველყოფს მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფას, უზრუნველყოფს შრომის აუცილებელი პირობების შექმნას;
 - მ) უზრუნველყოფს სამსახურის საქმიანობაში კანონიერებისა და კონფიდენციალურობის დაცვას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში;
 - ნ) დადგენილი წესის მიხედვით იხილავს კორესპონდენციებს და იღებს გადაწყვეტილებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ხელს აწერს ინფორმაციული ხასიათის წერილებს საკითხებზე, რომლებიც შედიან სამსახურის საქმიანობის სფეროში;
 - ო) პასუხისმგებელია სამსახურის თანამშრომლების მიერ შრომითი დისციპლინის დაცვაზე;
 - პ) ადგენს სამსახურის თანამშრომელთა მიერ შვებულებების გამოყენების რიგითობას;
 - ჟ) იხილავს და კომპეტენციის ფარგლებში ახდენს სასწავლო უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების, ხელშეკრულებებისა და სხვა დოკუმენტების პროექტების ვიზირებას;
 - რ) სასწავლო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას განსახილველად წარუდგენს წინადადებებს სამსახურის თანამშრომლების შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის, წახალისების და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;
 - ს) ახორციელებს სამსახურის დებულებით, სასწავლო უნივერსიტეტის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

თავი III. სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალი, საპატიო თანამდებობები და წოდებები

მუხლი 10. სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალი

1. სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალში ერთიანდება ადმინისტრაციული, აკადემიური, მოწვეული და სერვის პერსონალი.
2. სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ პერსონალს წარმოადგენს: რექტორი, დეკანი, სტრუქტურული ერთეულების უფროსები და სამსახურის თანამშრომლები.
3. სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს განეკუთვნება პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი.
4. სასწავლო უნივერსიტეტის მოწვეული პერსონალი არის ის პერსონალი, რომელიც მოწვეულია სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით.
5. სასწავლო უნივერსიტეტის სერვის პერსონალს წარმოადგენს უსაფრთხოებისა და დასუფთავების სამსახურის თანამშრომლები.
6. სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის ფუნქციური დატვირთვა რეგულირდება თანამდებობრივი ინსტრუქციებით.
7. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მიერ თანამდებობის დაკავებისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, ამ წესდებითა და სასწავლო უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 11. სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი

1. სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორები მონაწილეობენ სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ კვლევებში ან/და წარმართავენ მათ.
2. სასწავლო უნივერსიტეტის ასისტენტი ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით.

მუხლი 12. სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალად არჩევისათვის წაყენებული მოთხოვნები

1. პროფესორის თანამდებობაზე პირი შეიძლება არჩეული იქნას, თუ იგი აკმაყოფილებს ქვემოთმოყვანილი ქვეპუნქტებიდან ერთ-ერთს:
 - ა) ვაკანტური თანამდებობის შესაბამისი მიმართულებით ან/და სპეციალობით დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება და ვაკანტური თანამდებობის შესაბამისი მიმართულებით ან/და სპეციალობით ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომი ან/და პრაქტიკული პროექტი;
 - ბ) ვაკანტური თანამდებობის შესაბამისი მიმართულების ან/და სპეციალობისგან განსხვავებული მიმართულებით ან/და სპეციალობით დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, ვაკანტური თანამდებობის შესაბამისი მიმართულებით ან/და სპეციალობით სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება და ვაკანტური თანამდებობის შესაბამისი მიმართულებით ან/ და სპეციალობით ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომი ან/და პრაქტიკული პროექტი;
 - გ) ვაკანტური თანამდებობის შესაბამისი მიმართულებით ან/და სპეციალობით პროფესიული მუშაობის გამოცდილება და ვაკანტური თანამდებობის შესაბამისი მიმართულებით ან/და სპეციალობით ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომი ან/და პრაქტიკული პროექტი;
2. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე პირი შეიძლება არჩეული იქნას, თუ იგი აკმაყოფილებს ქვემოთმოყვანილი ქვეპუნქტებიდან ერთ-ერთს:
 - ა) პირს აქვს ვაკანტური თანამდებობის შესაბამისი მიმართულებით ან/და სპეციალობით დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-პედაგოგიური

საქმიანობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება და ვაკანტური თანამდებობის შესაბამისი მიმართულებით ან/და სპეციალობით ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომი ან/და პრაქტიკული პროექტი;

ბ) პირს აქვს ვაკანტური თანამდებობის შესაბამისი მიმართულების ან/და სპეციალობისგან განსხვავებული მიმართულებით ან/და სპეციალობით დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, ვაკანტური თანამდებობის შესაბამისი მიმართულებით ან/და სპეციალობით სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება და ვაკანტური თანამდებობის შესაბამისი მიმართულებით ან/ და სპეციალობით ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომი ან/და პრაქტიკული პროექტი;

გ) ვაკანტური თანამდებობის შესაბამისი მიმართულებით ან/და სპეციალობით პროფესიული მუშაობის გამოცდილება და ვაკანტური თანამდებობის შესაბამისი მიმართულებით ან/და სპეციალობით ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომი ან/და პრაქტიკული პროექტი;

3. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე პირი შეიძლება არჩეული იქნას, თუ იგი აკმაყოფილებს ქვემოთმოყვანილი ქვეპუნქტებიდან ერთ-ერთს:

ა) პირს აქვს ვაკანტური თანამდებობის შესაბამისი მიმართულებით ან/და სპეციალობით დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილება და ვაკანტური თანამდებობის შესაბამისი მიმართულებით ან/და სპეციალობით ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომი ან/და პრაქტიკული პროექტი;

ბ) პირს აქვს ვაკანტური თანამდებობის შესაბამისი მიმართულების ან/და სპეციალობისგან განსხვავებული მიმართულებით ან/და სპეციალობით დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, ვაკანტური თანამდებობის შესაბამისი მიმართულებით ან/და სპეციალობით სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილება და ვაკანტური თანამდებობის შესაბამისი მიმართულებით ან/და სპეციალობით ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომი ან/და პრაქტიკული პროექტი;

გ) ვაკანტური თანამდებობის შესაბამისი მიმართულებით ან/და სპეციალობით პროფესიული მუშაობის გამოცდილება და ვაკანტური თანამდებობის შესაბამისი მიმართულებით ან/და სპეციალობით ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომი ან/და პრაქტიკული პროექტი;

4. ასისტენტად შეიძლება არჩეულ იქნას ვაკანტური თანამდებობის შესაბამისი მიმართულების ან/და სპეციალობის დოქტორანტი;

5. აკადემიურ თანამდებობებზე პირი აირჩევა 4 წლის ვადით.

მუხლი 13. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი და აკადემიური პერსონალის უფლებები და მოვალეობები

1. აკადემიური თანამდებობის პირი აირჩევა კონკურსის წესით, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით.

2. აკადემიურ თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც აკმაყოფილებს მოქმედი კანონმდებლობით, ამ წესდებითა და სასწავლო უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

3. აკადემიურ თანამდებობაზე პირი აირჩევა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, აკადემიურ თანამდებობაზე არჩეულ პირს შეუძლია, შეზღუდვების გარეშე, მონაწილეობა მიიღოს იმავე ან უფრო მაღალი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში.

4. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის პროცედურა განისაზღვრება შესაბამისი დებულებით.

5. აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ჩატარებული კონკურსის შედეგების საფუძველზე, საკონკურსო კომისიის წარდგენით, აკადემიურ თანამდებობებზე პერსონალს ნიშნავს რექტორი.
6. აკადემიურ პერსონალს უფლება აქვს:
 - ა) მონაწილეობა მიიღოს სასწავლო უნივერსიტეტისა და სკოლის მართვაში;
 - ბ) მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროგრამების შედგენაში, სწავლებისა და შეფასების მეთოდების შემუშავებასა და სასწავლო ლიტერატურის შერჩევაში;
 - გ) სასწავლო უნივერსიტეტისაგან მოითხოვოს სასწავლო და კვლევითი მუშაობისათვის აუცილებელი პირობების შექმნა და შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება;
 - დ) პროფესიული განვითარების მიზნით, 3 წელიწადში ერთხელ, აკადემიური თანამდებობის დაკავებიდან 1 აკადემიური წლის შემდეგ, აიღოს სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულება არა უმეტეს 10 თვის ვადით. იმ პერსონალის მიმართ, რომელიც აკადემიურ თანამდებობას დაიკავებს ზედიზედ მეორე ან მომდევნო ვადით, ამ პუნქტით გათვალისწინებული ერთწლიანი შეზღუდვა არ ვრცელდება.
 - ე) დამოუკიდებლად განახორციელოს სწავლება, კვლევა და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება;
 - ვ) საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვროს სასწავლო კურსის პროგრამების (სილაბუსების) შინაარსი, სწავლების მეთოდები და საშუალებები.
7. აკადემიური პერსონალი ვალდებულია:
 - ა) დაიცვას სასწავლო უნივერსიტეტის წესდებისა და სხვა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები;
 - ბ) შეასრულოს სასწავლო უნივერსიტეტისა და სკოლის ადმინისტრაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;
 - გ) დაიცვას პედაგოგიური და კოლეგიალური ეთიკის ნორმები;
 - დ) იზრუნოს საკუთარ პროფესიულ განვითარებასა და მეცნიერულ ზრდაზე;
 - ე) სასწავლო პროცესში გამოიყენოს თანამედროვე ტექნოლოგიები;
 - ვ) იზრუნოს კვლევის განსაკუთრებული უნარის მქონე სტუდენტთა გამოვლენისა და მათში ამ უნარის მაქსიმალური გადრმავებისათვის;
 - ზ) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები;
 - თ) სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების დასრულების შემდეგ წარმოადგინოს ანგარიში ჩატარებული მუშაობის შესახებ.
8. აკადემიური პერსონალის აკადემიური დატვირთვა და სხვა საკითხები განისაზღვრება სასწავლო უნივერსიტეტის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.
9. აკადემიური პერსონალი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში სრულადაა პასუხისმგებელი კონკრეტული საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების განხორციელებაზე.

მუხლი 16. საპატიო თანამდებობები და წოდებები

1. სასწავლო უნივერსიტეტის საპატიო თანამდებობები და აკადემიური წოდებებია:
 - ა) ემერიტუსი;
 - ბ) საპატიო დოქტორი;
 - გ) საპატიო პროფესორი.
2. ემერიტუსის წოდება, სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებითა და სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის თანხმობით, შეიძლება მიენიჭოს პროფესორს 65 წლის ასაკის შესრულების შემდეგ, თუ იგი აღარ აირჩა აკადემიურ თანამდებობაზე ან პროფესორის თანამდებობაზე ყოფნის დროს 65 წლის ასაკის შესრულების შემდგომ აღარ იკავებს აკადემიურ თანამდებობას. ემერიტუსს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევით

საქმიანობაში აკადემიური ან ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავების გარეშე. ემერიტუსის წოდება პირს ენიჭება უვადოდ.

3. საპატიო დოქტორის წოდება, სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებითა და რექტორის თანხმობით, ენიჭება საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქეს მაღალი საზოგადოებრივი აღიარების ან განსაკუთრებული მეცნიერული მიღწევებისათვის. საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების გადაწყვეტილების მიღებამდე ან მას შემდეგ შესაბამისმა პირმა სასწავლო უნივერსიტეტში უნდა გამართოს არანაკლებ ერთი საჯარო ლექცია საკუთარი მიღწევებისა და დარგობრივ სფეროში არსებული პრობლემატიკის შესახებ. საპატიო დოქტორს სასწავლო უნივერსიტეტში არ ეკისრება აკადემიური პასუხისმგებლობა.

4. საპატიო პროფესორად აირჩევა პირი, სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებითა და რექტორის თანხმობით, მაღალი საზოგადოებრივი აღიარების ან სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო-კვლევით საქმიანობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის. საპატიო პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქე. საპატიო პროფესორად არჩევისათვის აუცილებელი არ არის აკადემიურ ხარისხის ქონა. საპატიო პროფესორს სასწავლო უნივერსიტეტში არ ეკისრება არავითარი აკადემიური პასუხისმგებლობა. საპატიო პროფესორის წოდების მინიჭების გადაწყვეტილების მიღებამდე ან მას შემდეგ შესაბამისმა პირმა სასწავლო უნივერსიტეტში უნდა გამართოს ერთი საჯარო ლექცია ან ლექციათა ციკლი.

მუხლი 17. თანამდებობრივი შეუთავსებლობა

1. სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობის მასშტაბებიდან გამომდინარე, მართვის ოპტიმიზაციის გათვალისწინებით, შესაძლებელია ერთმა თანამშრომელმა შეითავსოს (ერთ თანამშრომელს დაეკისროს) ორი ან რამდენიმე თანამდებობა ან სხვა საპასუხისმგებლო მოვალეობის შესრულება.

2. თანამდებობებრივი შეთავსების საკითხები განისაზღვრება სასწავლო უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტით.

3. სასწავლო უნივერსიტეტი, თანამშრომლებთან შრომით ურთიერთობას აგებს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონი - „საქართველოს შრომის კოდექსის“, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და სხვა ნორმატიულ და სამართლებრივ აქტებზე დაყრდნობით.

4. სასწავლო უნივერსიტეტის თანამშრომლებთან შრომითი ურთიერთობები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით, ამ წესდებით, სასწავლო უნივერსიტეტის ცალკეული სამართლებრივი აქტებითა და შრომითი ხელშეკრულებით.

თავი IV. სტუდენტი

მუხლი 18. სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტი

1. სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტი (შემდგომ ტექსტში - „სტუდენტი“) არის პირი, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი და საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაგროვებული კრედიტების აღიარების წესი“-ის თანახმად ჩაირიცხა და სწავლობს სასწავლო უნივერსიტეტში, ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2. სტუდენტი არის სწავლისა და სწავლების პროცესის სუბიექტი, რომელიც სასწავლო უნივერსიტეტთან ერთად თანაზომიერად აგებს პასუხს არჩეული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში უმაღლესი აკადემიური განათლების მიღების ხარისხზე.

3. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის წესები, რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობითა და სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული ნორმატიული დოკუმენტებით.

მუხლი 19. სტუდენტის სტატუსი და უფლებამოვალეობები

1. პირს სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსი ენიჭება სასწავლო უნივერსიტეტში ჩარიცხვის შესახებ რექტორის ბრძანების საფუძველზე და მოქმედებს სასწავლო უნივერსიტეტთან სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტამდე.

2. სტუდენტის სტატუსი მას უფლებას აძლევს ისარგებლოს სტუდენტისათვის განსაზღვრული უფლებამოვალეობებით.

3. სტუდენტს უფლება აქვს:

ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება;

ბ) მონაწილეობა მიიღოს კვლევით ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებში;

გ) ამ წესდებით და სასწავლო უნივერსიტეტის სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით თანაბარ პირობებში ისარგებლოს სასწავლო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;

დ) მოითხოვოს სწავლისათვის ნორმალური პირობების შექმნა;

ე) აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამა;

ვ) მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში;

ზ) აირჩიოს, საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, ცალკეული სასწავლო კურსები/მოდულები;

თ) დასვას საკითხი ახალი სასწავლო კურსების/მოდულების შემუშავებასა და დანერგვაზე;

ი) მონაწილეობა მიიღოს სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ გაცვლით და სხვა საერთაშორისო პროგრამებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

კ) მონაწილეობა მიიღოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და რეიტინგის დადგენაში;

ლ) გამოავლინოს ინიციატივა და ორგანიზაცია გაუწიოს სხვადასხვა სახის ღონისძიებებსა და აქციებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგება სასწავლო უნივერსიტეტის პოლიტიკასა და ამ წესდებას;

მ) კანონმდებლობით დადგენილი წესით, სწავლების მეორე წლიდან, ისარგებლოს მობილობის უფლებით;

ნ) სასწავლო უნივერსიტეტის ფარგლებში შეიცვალოს საგანმანათლებლო პროგრამა კანონმდებლობისა და სასწავლო უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების შესაბამისად;

ო) თავისუფლად დააფუძნოს ან/და გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად;

პ) თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;

ჟ) არგუმენტირებული დასკვნის საფუძველზე მოითხოვოს შეფასების გასაჩივრება „საჩივრები და გასაჩივრების პროცედურები“ შესაბამისად;

რ) არგუმენტირებული დასკვნის საფუძველზე მოითხოვოს აკადემიური პერსონალისა და/ან მოწვეული პერსონალის შერჩევა/გათავისუფლება, რაც განიხილება სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ შესაბამისი სამართლებრივი ნორმების დაცვით;

ს) არგუმენტირებული დასკვნის საფუძველზე დასვას ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პასუხისმგებლობის საკითხი, რაც განიხილება სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ შესაბამისი სამართლებრივი ნორმების დაცვით;

ტ) შეიჩეროს სტუდენტის სტატუსი კანონმდებლობით დადგენილი ვადით;

უ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობითა და სასწავლო უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.

4. სტუდენტი ვალდებულია:

ა) შეასრულოს მის მიერ არჩეული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები;

ბ) დაიცვას სასწავლო უნივერსიტეტის წესდება, სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სასწავლო უნივერსიტეტის მიერ მიღებული აქტები, სტუდენტის ეთიკის კოდექსი, სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილი ნორმები და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, პატივი სცეს სასწავლო უნივერსიტეტის ტრადიციებს, გაუფრთხილდეს მის ქონებას;

გ) დაესწროს ყველა მეცადინეობას, აქტიურად შეასრულოს საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი სამუშაო;

დ) იზრუნოს საუნივერსიტეტო სივრცეში ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროს შესაქმნელად.

5. სტუდენტის მიერ გამოვლენილი ინიციატივები და დასმული წინადადებები სასწავლო უნივერსიტეტის მუდმივი ყურადღების ცენტრშია, იგი მაქსიმალურად ხელს უწყობს მათ განხორციელებას;

6. აკადემიური პროგრესის მიღწევისათვის დახმარების მიზნით სასწავლო უნივერსიტეტი ითვალისწინებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვაში სტუდენტებთან ინდივიდუალური საკონსულტაციო მუშაობის საათებს.

7. სასწავლო უნივერსიტეტი შეიმუშავებს სტუდენტის სოციალური მხარდაჭერისა და აკადემიური განვითარების, ხელშეწყობის პროგრამებს.

8. უნარშეზღუდული სტუდენტებისათვის სასწავლო უნივერსიტეტი ქმნის ისეთ გარემოს, რომელიც ხელს შეუწყობს მათს ინტეგრაციას სტუდენტურ საზოგადოებაში, მისცემს შესაძლებლობას მიიღონ სრულფასოვანი განათლება.

9. სასწავლო უნივერსიტეტი წაახალისებს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პროცესის განხორციელებაში სტუდენტთა ჩართვისათვის.

მუხლი 20. სასწავლო უნივერსიტეტისა და სტუდენტის სამართლებრივი ურთიერთობა

1. 1. სტუდენტებთან სამართლებრივი ურთიერთობა რეგულირდება სასწავლო უნივერსიტეტისა და სტუდენტს შორის (მხარეებს შორის) დადებული გენერალური ხელშეკრულებით, რომელიც მოქმედებს მხარეებს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის სრულ ამოწურვამდე, ხოლო მისი განუყოფელი ნაწილი, სემესტრული/ტრიმესტრული ხელშეკრულება - იდება ამავე ხელშეკრულებით ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუმეტეს ერთი სემესტრის/ტრიმესტრისა. მის ხელმოწერაზე უარი სტუდენტის მხრიდან განიხილება, როგორც მიმდინარე სემესტრში/ტრიმესტრში სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის შეჩერების პირადი სურვილი.

2. ყოველი დისციპლინური გადაცდომა ამ წესდებით, აგრეთვე, დაწესებულების სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით, იწვევს ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტის მიმართ ფინანსურ სანქციებს ან/და დისციპლინური ზომების გატარებას, მათ შორის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ჩათვლით.

3. დისციპლინური გადაცდომის სახეები და, შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებები, პროცედურის ჩათვლით, დგინდება სტუდენტის ეთიკის კოდექსით.

4. დისციპლინური წარმოება ტარდება კანონმდებლობის შესაბამისად და სასწავლო უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესითა და პროცედურის დაცვით.

5. დისციპლინური ღონისძიებების გატარების პროცედურის ან შედეგების მიმართ პრეტენზიის შემთხვევაში სტუდენტი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.
6. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა უკავშირდება სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამით/პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობას ან სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელებას.

თავი V. სწავლება და სწავლის შედეგების შეფასება

მუხლი 21. საგანმანათლებლო პროცესი

1. საგანმანათლებლო პროცესი გულისხმობს სტუდენტის მიერ განხორციელებული სწავლისა და სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული სწავლების პროცესს.
2. საგანმანათლებლო პროცესის მთავარი საფუძველია საგანმანათლებლო პროგრამა.
3. საგანმანათლებლო პროცესის მართვა ეფუძნება კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემას - ECTS, რომელიც, არსებითად, განსაზღვრავს სტუდენტის წლიურ/სემესტრულ/ტრიმესტრულ დატვირთვასა და სრულ ინფორმაციას იძლევა სტუდენტის კვალიფიკაციასა და მინიჭებული ხარისხის იდენტურობაზე.
4. სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტის წლიური დატვირთვა და 1 ECTS კრედიტის მოცულობა საათებში განისაზღვრება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით.

მუხლი 22. საგანმანათლებლო პროგრამა

1. საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი) – უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი სასწავლო კურსების/მოდულების ერთობლიობა, რომელშიც მოცემულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსები/მოდულები შესაბამისი კრედიტებით, სტუდენტთა შეფასების სისტემა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები, მათ შორის, ელექტრონული სწავლების გამოყენების შესაძლებლობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი კომპონენტია სასწავლო კურსი/დისციპლინა. საგანმანათლებლო პროგრამა ასევე შეიძლება მოიცავდეს კვლევისა და პრაქტიკის კომპონენტებს;
3. საგანმანათლებლო პროგრამები ყალიბდება შესაბამისი საგანმანათლებლო საფეხურის სპეციფიკისა და მიზნების გათვალისწინებით და ეფუძნება სასწავლო უნივერსიტეტის მისიას.
5. საგანმანათლებლო პროგრამა იყოფა სასწავლო წლების/სემესტრების/ტრიმესტრების მიხედვით, თითოეულს თავისი ღირებულებითი (ხვედრითი) პროცენტული წილი აქვს პროგრამის სტრუქტურაში და განისაზღვრება კონკრეტული წილობრივი მაჩვენებლით.
6. საგანმანათლებლო პროგრამის ყოველ სასწავლო სემესტრში/ტრიმესტრში ფასდება სტუდენტის სწავლის შედეგები. დაგროვებული კრედიტების საფუძველზე განისაზღვრება შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხი, რაც დასტურდება სასწავლო უნივერსიტეტის მიერ გაცემული დოკუმენტით – დიპლომით, დანართთან ერთად.

მუხლი 23. სწავლის შედეგების შეფასება

1. სწავლის შედეგების შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან და შედეგებთან მიმართებით.
2. სასწავლო უნივერსიტეტი შეფასებას განიხილავს, როგორც სწავლის შედეგების ხარისხის იდენტიფიცირებისა და მართვის სისტემას. ის არ გულისხმობს მხოლოდ ხარისხის იდენტიფიცირების მომენტს, არამედ მოიცავს მომზადების პროცესს ამ მომენტისათვის და

განსაზღვრავს ახალი პედაგოგიური ამოცანის ფორმირებისა და სწავლების სტრატეგიის კორექციის პერსპექტივას, ხოლო სტუდენტისათვის – ახალი შემეცნებითი ტაქტიკის გამოუმუშავების საფუძველს.

3. სწავლის შედეგების შეფასება ემყარება შემდეგ პრინციპებს:
 - ა) გამჭვირვალობის პრინციპი – ინფორმაცია შეფასების მეთოდებსა თუ კრიტერიუმებზე ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. სტუდენტმა წლის დასაწყისშივე უნდა იცოდეს როდის და როგორ შეაფასებენ მისი ცოდნა-ჩვევების ამა თუ იმ პარამეტრს;
 - ბ) სისტემატურობის პრინციპი – შეფასება არ არის ერთჯერადი აქტი. ის გეგმაზომიერი პროცესია, რომელიც სწავლა-სწავლების ერთიანი მოტივაციური სისტემის ელემენტია – სტუდენტს გამოუმუშავებს მუდმივ მზაობას გამოავლინოს და განსაზღვროს საკუთარი შრომის ეფექტიანობა, ხოლო აკადემიურ და მასწავლებელთა პერსონალს – განახორციელონ მონიტორინგი სტუდენტის ცოდნის შექმნისა და განვითარების პროცესზე;
 - გ) სამართლიანობის პრინციპი – მიდგომა ყველა სტუდენტის ცოდნის შეფასებისადმი ერთიანი სტანდარტით უნდა განხორციელდეს. თითოეულ სტუდენტს თანაბარი შესაძლებლობა უნდა მიეცეს მაღალი აკადემიური მაჩვენებლის მისაღწევად;
 - დ) ოპტიმალურობის პრინციპი – გულისხმობს შეფასების მეთოდების შერჩევას იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სრულყოფილი ინფორმაციის მიღება შესაფასებელი პარამეტრების ხარისხობრივი დონის შესახებ მაქსიმალურად მცირე დროში; მეორე მხრივ, შეფასების სიხშირე უნდა განისაზღვროს სასწავლო კურსის/მოდულის სპეციფიკისა და ჯგუფის თავისებურების გათვალისწინებით იმგვარად, რომ შემოწმების მაღალმა ინტენსივობამ პასუხისმგებლობის მქონე სტუდენტებში არ გამოიწვიოს შინაგანად დაძაბული მდგომარეობა და, შესაბამისად, შემეცნებითი აქტივობის დაქვეითება, ხოლო დანარჩენებში – ინდიფერენტულობის ჩამოყალიბება;
 - ე) დიფერენცირების პრინციპი – შეფასების მეთოდები უნდა შეირჩეს საგანმანათლებლო პროგრამის დონისა და შესაბამის დონეზე დასახული შემეცნებითი ამოცანების გათვალისწინებით;
 - ვ) სანდოობის პრინციპი – შეფასება დადგენილი კრიტერიუმების ფარგლებში უნდა განხორციელდეს და რეალურად ასახოს შესაფასებელი პარამეტრების ხარისხობრივი დონე.
4. სტუდენტის შეფასება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი VI. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა

მუხლი 24. ხარისხის უზრუნველყოფა

1. ხარისხის უზრუნველყოფა გულისხმობს საგანმანათლებლო და კვლევით ან/და სამეცნიერო-კვლევითი პროცესების სისტემატურ მონიტორინგსა და შეფასებას.
2. ხარისხის უზრუნველყოფას სასწავლო უნივერსიტეტში უზრუნველყოფს სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომლის მართვის, შიდასტრუქტურული მოწყობის, უფლებამოსილებებისა და სხვა საკითხები დგინდება ამ სტრუქტურული ერთეულების დებულებით.
3. სასწავლო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის მიზანია:
 - ა) პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის მონიტორინგი და შეფასება;
 - ბ) საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პროცესების მონიტორინგი და შეფასება;
 - გ) სტუდენტთა მიღწევების მონიტორინგი და შეფასება;
 - დ) ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მისაღწევად, თვითშეფასების დოკუმენტის მომზადებისას მეთოდურ-ექსპერტული უზრუნველყოფა;
 - ე) განათლების ხარისხის კულტურის დამკვიდრება, ხარისხიანი განათლების მიღების კონკრეტული მექანიზმების დანერგვა და სრულყოფა, შეფასების თანამედროვე მეთოდებისა

და ტექნოლოგიების დანერგვა; სტუდენტთა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის სტიმულირების სისტემის შემუშავება.

თავი VII. რესურსები

მუხლი 25. სასწავლო უნივერსიტეტის რესურსები

1. სასწავლო უნივერსიტეტის ზრუნვის საგანია სასწავლო-მატერიალური და კვლევითი რესურსების განვითარება.
2. სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან სასწავლო-მატერიალური და კვლევითი რესურსების განვითარებისათვის ყოველწლიურად გამოიყოფა ფინანსური სახსრები პრიორიტეტების გათვალისწინებით.
3. სასწავლო უნივერსიტეტის ფუნქციების განხორციელებას უზრუნველყოფს ფინანსური რესურსი.
4. ფინანსური რესურსის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა სტუდენტთა მიერ გადახდილი სწავლის საზღაური, ამასთან, სასწავლო უნივერსიტეტი მოიზიდავს დამატებით სახსრებს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.
5. აკადემიური პერსონალის სახელფასო განაკვეთი ფორმირდება აკადემიური და/ან სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის გათვალისწინებით.

მუხლი 26. ბიბლიოთეკა

1. სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს სასწავლო უნივერსიტეტში მიმდინარე საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროცესს სათანადო ლიტერატურით, ელექტრონული მატარებლებითა და საინფორმაციო მასალით.
2. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს სტუდენტთა, აკადემიურ და მოწვეული პერსონალს და ადმინისტრაციის მომსახურებას წიგნით, ჟურნალით, პერიოდული გამოცემებით, ელექტრონულ მატარებლებზე და ინტერნეტში არსებული საინფორმაციო და სამეცნიერო მასალების მოძიებითა და მიწოდებით.
3. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს წიგნად გამოცემათა შექმნაზე მოთხოვნის შემუშავებას, აღრიცხვას, მოვლა-შენახვასა და გამოყენებას.
4. სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია საჭიროებისამებრ გამოუყოფს ბიბლიოთეკას ფინანსებს წიგნებისა და პერიოდულ გამოცემათა შექმნისათვის.
5. ბიბლიოთეკის ძირითადი ამოცანებია:
 - ა) ელექტრონული საბიბლიოთეკო სისტემის შემუშავება და პერიოდული განახლება;
 - ბ) ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდისა და პერიოდიკის, ინფორმაციის აუდიო, ვიდეო და ციფრული მატარებლების შევსება-განახლების წინადადების შემუშავება;
6. აღნიშნული ამოცანების გადასაწყვეტად ბიბლიოთეკა ახორციელებს შემდეგ ფუნქციებს:
 - ა) საბიბლიოთეკო ფონდებისა და ინვენტარის მართვა;
 - ბ) საბიბლიოთეკო პრინციპებით მოწესრიგებული ანბანური, თემატური და საგნობრივი კატალოგის შექმნა-წარმოება და პერიოდული განახლება (როგორც ქალაქის, ისე ელექტრონულ მატარებლებზე);
 - გ) მკითხველთა სარეგისტრაციო ჟურნალისა წარმოება;
 - დ) სტუდენტთა ბიბლიოთეკაში გაწევრიანება;
 - ე) ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებისა და კატალოგების გამოყენების წესების მომხმარებელთათვის გაცნობა.

თავი VII. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 27. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

1. წესდების დამტკიცება, გაუქმება და მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე.
2. წინამდებარე წესდება ძალაში შედის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით განსაზღვრული წესითა და ვადებში.